ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 148-ე წლისთავისადმი მიძღვნილი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

პროგრამა/თეზისები

29 აპრილი

თბილისი

2024

საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

თეიმურაზ პაპასქირი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან გარდავაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე);

ირინა ნოზაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

რეგლამენტი:

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი
დისკუსია – 5 წუთი
სამუშაო ენა – ქართული

ორშაბათი, 29 აპრილი
10.00

კონფერენციის გახსნა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

მისალმებები

ნანა გაფრინდაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

პირველი სექცია

სხდომის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი
10.30 – 13.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 212

გიორგი ჭყოიძე
ისტორიული აზროვნების სათავეებთან
ხელმძღვანელი: ასოციჰებული პროფესორი ნინო სამსონია

კონსტანტინე მეგრელიშვილი
ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაცია რუსული იმპერიალიზმის და რუსეთის ერ-სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ფონზე
ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი

ლუკა ნებიერიძე
სამხედრო-ადმინისტრაციულიერთეულების(საერისთავოების), სამეფო დომენისა და ცალკეული ფეოდალების სამხედრო ძალა შუასაუკუნეების საქართველოში (XIV-XV სს)
ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი აღექსანდრე ბოშიშვილი

ლიზა მურადაშვილი
სოციალისტური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ქალთა პოლიტიკური ჩართულობის პერსპექტივიდან (1919 წ.)
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი

მარი ბაიდარაშვილი
მათე ედესელის ერთი ცნობის შესახებ (დავით აღმაშენებელის ძმის ვინაობის გარკვევისათვის)
ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი ღეი თავაძე

ზურა ჯავახიშვილი
ადგილობრივი თვითმმართველობის ჩასახვა და განვითარების ქრონიკები საქართველოში 1921 წლიდან 2011 წლამდე
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე

იაკობ აბაიშვილი
აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ქართველი გენერლები
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი

შესვენება
13. 00-14. 00

მეორე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი
14.00 – 17.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 212

ნინი ჩარკვიანი
ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისში: ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედება მე-18 საუკუნეში
ხელმძღვანელი: დოქტორანტი იაკიდი აღიმბაჰაშვილი

ელენე სამაკაშვილი

ნაბატეველთა სახელმწიფოს ეთნიკური, სოციალური და ენობრივი საკითხები

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარიამ ნანობაშვილი

გვანცა დარასელია

ალექსანდრე ქართველიშვილი - მსოფლიო დონის ქართველი ავიაინსტრუქტორი

ხელმძღვანელი: დოქტორანტი ირაკლი ნოდია

ნათია სურმანიძე

ფრანც ბოასი და ამერიკული ისტორიული სკოლა

ხელმძღვანელი: დოქტორანტი გიორგი ვახტანგიშვილი

ლიკა ფრიდონაშვილი

ნიკო ფიროსმანის სურათი „ირემი პეიზაჟის ფონზე“ ქართული ხელოვნებისა და დასავლური მოდერნიზმის კონტექსტში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი

შოთა გოდერიძე

არსებობს თუ არა სრულყოფილი არსება ღმერთის სახით და არის თუ არა იგი კეთილი გუნების

ხელმძღვანელი: ფილოსოფიის დოქტორი დავით გაღაშვილი

ანა ელკანოვი, ტატა ოქროჯანაშვილი

ფრანსისკო გოია: სერია „შავი ნახატები“ და თვითგამოხატვის გრადაცია მისი შემოქმედების დასასრულს

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლაშა მათიაშვილი

მესამე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – ფილოლოგიის დოქტორი
ნინო პოპიაშვილი
14.00 – 17.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

ნანიკო ტორონჯაძე, თამარ მეფარიშვილი, ანა ჭურღულია
სინქრონიული მეტყველების ამსახველი მეგრული ტექსტების ფონოლოგიურ-გრამატიკულ-ლექსიკური დახასიათება
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

ნინო ახალაია
სოციალური ქსელების გავლენა მეტყველებაზე
ხელმძღვანელი: დოქტორანტი ქეთევან ჭიღაია

სალომე კვარაცხელია, ანი ნაყოფია, შორენა შურღაია
გამოსვლითი და მიმართულებითი ბრუნვების დიფერენციაციის საკითხი მეგრულში
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

ნათია ლაბაძე
ჰაგიოგრაფიული გმირის სულიერი ტრანსფორმაცია იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამებაში“
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნესტან სულავა

მარიამ მეარაყიშვილი
კუდიანთა დევნის ასახვა დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხვთისო მამისიმედიშვილი

თამარ ჩიხრაძე
ქალი ავტორი თანამედროვე ლიტერატურული პერსპექტივიდან: მაია ენჯელოუ “ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი”, თამთა მელაშვილი “შაშვი შაშვი მაყვალი”
ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

თეზისები

იაკობ აბაიშვილი

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ქართველი გენერლები

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარი გადატრიალების შემდეგ, ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი მთავრობა - კომისარიატი ჩამოყალიბდა. შეიქმნა ქართული და აზერბაიჯანული სამხედრო შენაერთებიც, რომელთა მიზანსაც ბოლშევიკური რუსეთიდან მომდინარე საფრთხის აღმოფხვრა წარმოადგენდა. სამშობლოში დაბრუნებული ათასობით ქართველი ოფიცერი უსამსახუროდ დარჩა, რადგანაც ქართულ არმიაში შესაბამისი ოდენობის თანამდებობა არ იყო. ვინაიდან განსხვავებით საქართველოსაგან, აზერბაიჯანი ოფიცერთა დიდ დეფიციტს განიცდიდა, მის არმიაში არაერთი ქართველი ოფიცერი ჩაირიცხა.

აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 7 ქართველი გენერალი: „თათართა დივიზიის“ ხელმძღვანელი ლევან მაღალაშვილი, რომელმაც თავი ისახელა ბოლშევიკებთან შამქორის შეტაკებასა და ბაქოს განთავისუფლებაში; ვასილ კარგარეთელი, რომელსაც გენერლის წოდება აზერბაიჯანში მიენიჭა; აბელ მაყაშვილი, რომელიც მსახურობდა I და II ქვეითი დივიზიების უფროსის თანაშემწედ და განჯის სამხედრო სკოლის უფროსად; ბაქოს სამხედრო სასწავლებლის მეთაური კონსტანტინე ჩხეიძე; აზერბაიჯანის ჯარის საინჟინრო სამმართველოს უფროსი და სამხედრო საბჭოს წევრი გენადი თარხნიშვილი; საკავალერიო დივიზიის შტაბის მეთაური ზაქარია ამაშუკელი და ალექსანდრე ფურცელაძე.

ამრიგად, ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ფორმირებაში, რამაც ჩვენს ერებს შორის ურთიერთობის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ნინო ახალაია

სოციალური ქსელების გავლენა მეტყველებაზე

XXI საუკუნე უახლესი გამოწვევებისა და გლობალიზაციის ეპოქაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს აზროვნებასა და ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას ახდენს. ციფრული სამყარო დღევანდელობის სავიზიტო ბარათი გახდა. ინტერნეტი - სივრცე, რომელმაც ყველა და ყველაფერი მოიცვა და გლობალურ, ტელესაკომუნიკაციო ქსელად იქცა.

არსებობს სისტემური კავშირი კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასა და ენაში უახლესი ლექსიკის დამკვიდრებას შორის. ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მიჰყვება სიახლეებს, თუმცა, ერთია ტექნოლოგიების ლექსიკა და მეორეა ენაში უხეშად შემოჭრილი ბარბარიზმები, საჭიროების გარეშე გამოყენებული უცხო სიტყვები, რომლებიც დღითიდღე უფრო მყარად იკიდებს ფეხს და არღვევს სალიტერატურო ენის ნორმებს, სიტყვები, რომლებიც გასცდა უკვე „ვიწრო" სოციალური ჯგუფების ენას და გლობალურად იწყებს დამკვიდრებას.

მეტყველება მოიცავს ენობრივი იერარქიის ყველა დონეს, მაგრამ ჩვენს კვლევაში აქცენტი გაკეთებული გვაქვს ენის ლექსიკურ ნაწილზე, მკაფიოდ გამოვყოფთ ენის ლექსიკურ ნაწილს, რადგანაც სოციალური ქსელების საშუალებით შემოსული ენობრივი ფორმები, რომლებიც რეალიზდება ქართულ მეტყველებაში, უმთავრესად ვლინდება ლექსიკაში.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს:

- სხვადასხვა სოციალური ქსელის საშუალებით შემოსული და უკვე დამკვიდრების პირას მყოფი ლექსიკური ფორმების აღრიცხვა;
- მათი სემანტიკურ-სტატისტიკური ანალიზი;
- გავრცელების არეალის განსაზღვრა;
- მათი გავლენა ქართული სალიტერატურო ენის ფორმებსა და ცოცხალ მეტყველებაზე.

მოხსენებაში ვისაუბრებთ სხვადასხვა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ლინგვისტურ ფორმებზე, ყურადღებას გავამახვილებთ მათ გამოყენებაზე სალიტერატურო ენასთან და ასაკობრივ ჯგუფებთან კავშირში.

მარი ბაიდარაშვილი

მათე ედესელის ერთი ცნობის შესახებ (დავით აღმაშენებელის ძმის ვინაობის გარკვევისათვის)

საქართველოს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთი სახელგანთქმული მეფე ჰყოლია. მეფეთა შორის გამორჩეულია დავით IV აღმაშენებელი, რომლის მოღვაწეობასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებაში. საყოველთაოდაა ცნობილი მისი რეფორმები, სამხედრო მოღვაწეობა და ბიოგრაფიის არაერთი საინტერესო დეტალი.

მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს კვლევა-ძიებას, კერძოდ, მათე ედესელთან მოხსენიებული დავით აღმაშენებლის უცნობი ძმის, თოტორმეს, იდენტიფიკაციის საკითხი, რომლის ირგვლივ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია რამდენიმე ვარაუდი. ალექსანდრე აბდალაძე თოტორმეს აიგივებს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დისწულ თევდორესთან. განსხვავებული მოსაზრება გააჩნია ლერი თავაძეს, რომელიც თვლის, რომ თოტორმე გიორგი II-ის არალეგიტიმური ვაჟიშვილია. კირილ თუმანოვის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულის მიხედვით, ის დავით აღმაშენებლის დად არის დასახელებული. ამდენად, კირილ თუმანოვის მიხედვით, თოტორმე გიორგი II-ის ქალიშვილად არის გამოცხადებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წყაროთმცოდნეობითი ბაზა მწირია. ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით დავითის უცნობ მემატიანესა და სომეხი ისტორიკოსის, მათე ედესელის ნაშრომებს. ზემოთ ხსენებულ მემატიანეთა ცნობები ურთიერთგამომრიცხავია. დავითის ისტორიკოსის წერს, რომ დავით აღმაშენებელი იყო თავისი მშობლების მხოლოდშობილი ძე, ხოლო მათე ედელესის მიხედვით, სახელოვან ქართველ მეფეს ჰყავდა ძმა, თოტორმე. ვფიქრობ, მათე ედესელის ქრონიკაში მოხსენიებული დავით აღმაშენებლის ძმის ვინაობა დამატებით შესწავლას საჭიროებს. სწორედ აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიება და თოტორმეს, როგორც დავით IV აღმაშენებლის ძმის, რეალობის საკითხის გამორკვევა წარმოადგენს ჩვენს ძირითად მიზანს.

შოთა გოდერიძე

არსებობს თუ არა სრულყოფილი არსება ღმერთის სახით და არის თუ არა იგი კეთილი გუნების

ღმერთის არსებობის ონტოლოგიური დასაბუთების შემოქმედად ანსლემ კენტერბერიელი ითვლება. იგი ღმერთის არსებობას იმით ასაბუთებს, რომ ღმერთის ცნებაში უსრულყოფილეს არსებას ვგულისმხმობთ, ღმერთი არის თავისთავად სრულყოფილება, ეს ნიშნავს, რომ იგი უნაკლოა. და თუ ასეთია, მაშინ მას არ შეიძლება აკლდეს არსებობა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ დეკარტე და სპინოზა, ვერ პოულობენ კენტერბერიელის ღმერთის დასაბუთებაში სიმცდარეს, მაგრამ კანტი თვლიდა, რომ „არსებობა არ შედის ცნებაში", ანუ მე შემიძლია მოვიაზრო, წარმოვიდგინო რაიმე არსებული, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს მისი არსებობა. ჰეგელის აზრით, კანტის დებულება მართებულია ჩვეულებრივი არსებულის მიმართ, მაგრამ არა ღმერთის მიმართ. სიმონ ფრანკიც ამბობს, არიან საგნები, რომლებშიც მათ წმინდა ჰიპოთეტურად მიღებულ იდეას რეალობისგან ვერ განვაყენებთ, რეალობას ვერ მოვწყვეტთ და რეალობასა და იდეას შორის ლოგიკური განსხვავება აქ ვერ იარსებებს.

კონფერენციაზე მიმოვიხილავ, „რამდენად არსებობს სრულყოფილი არსება" და მისი არსებობის შემთხვევაში შევეცდები დავასკვნა, იგი კეთილი გუნებისაა თუ ბოროტისა.

გვანცა დარასელია

ალექსანდრე ქართველიშვილი - მსოფლიო დონის ქართველი ავიაინსტრუქტორი

ალექსანდრე ქართველიშვილის ფიგურას განსაკუთრებული როლი უჭირავს მეორე მსოფლიო ომში. მის მიერ შექმნილმა ავიაგამანადგურებლებმა აშშ-ის საჰაერო ძალებს მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა. იგი გახლდათ მსოფლიო დონის ავიაინსტრუქ-

ტორი, რომელმაც საქართველოდან ემიგრირების შემდეგ ამერიკულ ავიაციაში მთელი ეპოქა შექმნა.

ალექსანდრე ქართველი დაიბადა თბილისში 1896 წლის 9 სექტემბერს. ევროპიდან იგი აშშ-ში სამუშაოდ გადავიდა, ამერიკის მოქალაქე გახდა და მტკიცე უარი უთხრა ბოლშევიზმს. თავისი პროფესიული მზაობითა და შეუპოვრობით შეძლო, რომ აეწყო და გაეყიდა საკუთარი მოწინავე საფრენი აპარატი დიდი დეპრესიის პერიოდში. 1931 წელს ის შეხვდა საავიაციო საქმის მეორე ცნობილ ინჟინერს, თბილისელ ალექსანდრე სევერსკის. 1939 წელს Republic Aviaconstration Company-ის ვიცე-პრეზიდენტად ქართველიშვილი დაინიშნა. მათ შექმნეს რამდენიმე თვითმფრინავი: Republic F-84, F-84 Thunderjet, Republic F-105 და ომის ბოლო წლებში Republic P-47 Thunderbolt, რომლის ნახაზიც ქართველიშვილმა ერთ დღეში დახატა და ცხრა თვეში მსოფლიომ იხილა, დიდი როლი შეასრულა გერმანიაზე გამარჯვებაში. P-47 Thunderbolt და მოგვიანო პერიოდში შექმნილი A-10 დღემდე აშშ-ს საჰაერო ძალებისა და ნატოს შეიარაღებაშია.

ალექსანდრე ქართველმა, როგორც თავისი საქმის გენიოსმა, შექმნა 14 თვითმფრინავის მოდიფიკაცია მაშინ, როცა არ არსებობდა თანამედროვე ტექნოლოგიები. მის მიერ პარიზში შექმნილმა პირველივე თვითმფრინავმა 1924 წელს სიჩქარის რეკორდი დაამყარა.

ავიამშენებლობისა და აერონავტიკის დარგში მნიშვნელოვანი დამსახურებისთვის ქართველიშვილი ამერიკის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა უმაღლესი დონის მედლით - „სახელმწიფო თავდაცვისთვის“ - დააჯილოვა.

ქართველიშვილის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ბევრი დეტალი დიდხანს იყო გასაიდუმლოებული, მეტიც, ბევრი საკითხი დღემდე შეუსწავლელია. მისი ფიგურის საავიაციო და ეროვნულ ჭრილში შესწავლა, ანალიზის საფუძველზე, ფრიად საინტერესოა ქართული ისტორიოგრაფიისთვის, რაც ვფიქრობ, ამ საკითხით დაინტერესებული აუდიტორიისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება.

ანა ელკანოვი

ტატა ოქროჯანაშვილი

ფრანსისკო გოია: სერია „შავი ნახატები“ და თვითგამოხატვის გრადაცია მისი შემოქმედების დასასრულს

ფრანსისკო ხოსე დე გოია იყო მის გარშემო არსებული სამყაროს დამკვირვებელი. გოიას შემოქმედება ეხმაურებოდა მისი დროის მღელვარე მოვლენებს განმანათლებლობის განთავისუფლებიდან ინკვიზიციის ჩახშობამდე, ომის საშინელებას, ნაპოლეონის შეჭრას.

გოიას სამხატვრო მოღვაწეობა სხვადასხვა თემატიკას ეხება: ესპანეთის სამეფო კარის ცხოვრება დახატულია მდიდრული სტილით, რომელიც ხაზს უსვამს სამეფო კარის სიმდიდრესა და ძალაუფლებას. იგი ასევე იყო ერთ-ერთი უდიდესი გრავიორი. მის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უკავია ქალებს, განსაკუთრებით მაჟებს, როგორც მე-18 და მე-19 საუკუნეების ესპანეთის დაბალი კლასების ელეგანტურ და უჩვეულო წევრებს. ფრანსისკო გოიას გვიანდელი ნამუშევრები, „შავი ნახატების“ სერია, ყველაზე იდუმალია. მის შემოქმედებაში ვხვდებით გრადაციას იდეალურიდან გროტესკამდე, არსებულიდან წარმოსახვითამდე და იუმორისტულიდან მკვეთრად სატირულამდე.

ფრანსისკო გოიას „შავი ნახატების“ სერია მოიცავს 14 ნამუშევარს, დახატულს 1819-1823 წლებში, მისი სიცოცხლის ბოლომდე. ეს სახელწოდება მიიღო შავი ფონის გამო, რომელსაც გოია იყენებდა წინასწარმეტყველების, სიმძაფრის, ემოციისა და საიდუმლოების განცდის შესაქმნელად. სწორედ ამიტომ გახდა ეს საკითხი ჩვენი დაინტერესების სფერო. ნამუშევრები ძლიერი შეხსენებაა ომის ტრაგედიისა და საშინელების, ადამიანის ბუნების საზარელი ნაწილისა და სიცოცხლის სისუსტის შესახებ. ისინი ადასტურებენ გოიას გენიალურობასა და ხელოვნების ძალას, რომელსაც შეუძლია ადამიანის დაფიქრება ზემოთ დასახელებულ საკაცობრიო მნიშვნელობის თემებზე.

დაზუსტებული ინფორმაცია ნამუშევრების შინაარსის შესახებ არ არსებობს. უმეტეს შემთხვევაში ისინი სხვადასხვანაირადაა ინტერპრეტირებული. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, ისინი შთაგონებულია მხატვრის ნეგატიური გამოცდილებით ნაპოლეონის ომებისა და ესპანური ინკვიზიციის დროს. სხვები თვლიან, რომ ისინი, უბრალოდ, გოიას ბნელი და ავადმყოფური წარმოსახვის გამოხატულება იყო.

გოიას „შავი ნახატების“ სერია ხელოვნების ისტორიაში გამორჩეული და გავლენიანი შედევრებია, შექმნილნი მე-19 საუკუნის დასაწყისში. ისინი კვლავაც შეახსენებენ ხელოვნებით დაინტერესებულებს მის ძალას ცხოვრების სიბნელესთან დაპირისპირებისას. გოიას გროტესკული გამოსახულებები და მძაფრი სოციალური სიუჟეტები 21-ე საუკენეშიც თანამედროვე მხატვრების, მაგალითად, ემილი ლომბარდოს, ჯეიკ და დინოს ჩაპმანების, უინკა შონიბარეს, შთაგონების წყაროს წარმოადგენს.

სალომე კვარაცხელია, ანი ნაყოფია, შორენა შურღაია

გამოსვლითი და მიმართულებითი ბრუნვების დიფერენციაციის საკითხი მეგრულში

მეგრულს ქართულისგან განსხვავებული სამი ბრუნვა აქვს: მიმართულებითი, გამოსვლითი და მიწევნითი. სხვანაირად მათ ნანათესაობითარ ბრუნვებს უწოდებენ, რადგან ფუძედ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა აქვთ აღებული. ნანათესაობითარ ბრუნვათა სახელდება გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა; აქედან ჩანს, რომ თითოეულ მათგანს გამოკვეთილი ფუნქცია აქვს, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ერთი ბრუნვის ფორმა ორ სხვადასხვა ნიუანსს გამოხატავს; ასეთია სოლე, სოლეშე და სხვა მისგან მომდინარე ზმნისართების მიერ გამოსვლითობისა და მიმართულების გამოხატვა; მაგალითად, (1) სოურეშე თურქი მიიშუნი, თეურეშე ურულუნანი, აშო ქაწოხვალამუნა შხვა კათა მარტინჯეფი... (ტ. II, 26,19), „საიდანაც თურქი მოდიო-

და, იქითკენ რომ გაქცეულან, აქეთ შემოხვდომიათ სხვა ხალხი – ლტოლვილები...“.

სოუხე-შე – თეუხე-შე ზმნისართებში გამოიყოფა *-შე* გამოსვლითი ბრუნვის ნიშანი, თუმცა ერთ შემთხვევაში გამოხატავს გამოსვლითობას *(სოუხე-შე - „საიდანაც“)*, ხოლო სხვა შემთხვევაში – მიმართულებას *(თეუხე-შე - „იქითკენ“, ნაცვლად „იქიდან“ ფოხმისა).*

ზღაპრებში დადასტურებული ამგვარი შემთხვევები სინქრონიულ დონეზეც დასტურდება მეგრულში:

(2) **სოლეშე** მორთუ, **თეურეშე** მიდართასია (ექსპ. მასალები) - „**საიდანაც** მოვიდა, **იქითკენ** წავიდესო“.

ამ ტიპის მაგალითები მიანიშნებს, რომ სპორადულად, მაგრამ მაინც გამოსვლითი და მიმართულებითი ბრუნვების დიფერენციაციის პროცესი არ არის დასრულებული მეგრულში.

შემოკლებათა განმარტებანი:

ტ. II – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანით), ტ. II (1991); შეადგინეს, თარგმანი და შენიშვნები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ექსპ. მასალები – მარტვილის მუნიციპალიტეტში ლინგვისტური ექსპედიციის დროს ველზე მოპოვებული მასალები (2017, 2023 წლები).

ნათია ლაბაძე

ჰაგიოგრაფიული გმირის სულიერი ტრანსფორმაცია იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამებაში“

„შუშანიკის წამების“ შექმნით დაედო სათავე დიდმნიშვნელოვან პროცესს, რომელსაც დღეს 1500-წლოვანი ქართული მწერლობა ჰქვია. ამ პროცესის დასაწყისში იყო სიტყვა - მხატვრული სიტყვა იაკობ ხუცესისა. თხზულების მთავარი გმირი გახლავთ წმინდა შუშანიკი, „ასული ვარდანისი, სომეხთა სპაიპეტისაი“. დედოფალი შუშანიკი ვარსქენ პიტიახშის მეუღლე იყო. ირანის მომხრე და გამაზდეანებულმა ვარსქენ პიტიახშმა სამგვარი ღალატი ჩაიდინა: ეროვნულ-სა-

ხელმწიფოებრივი, ქრისტიანული და პირადი. სანატრელი შუშანიკი მას სამგვარად დაუპირისპირდა: პირადი ცხოვრებით, ქრისტიანული თვალთახედვითა და ეროვნული იდეალებით, რის გამოც საკუთარი შვილების მამამ მკაცრად დასაჯა, აწამა და მის მიმართ ენით აღუწერელი სისასტიკე გამოიჩინა.

აღსანიშნავია, რომ შუშანიკი მთელ თავის ღვაწლს ზეცას უკავშირებს, რაც ამაღლებს მის ამქვეყნიურ დანიშნულებას, მისი მოწამეობის ეროვნულსა და ისტორიულ მნიშვნელობას. ამიტომაა ის საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული და ქართველთა ეროვნული გმირი.

შუშანიკი, როგორც ჰაგიოგრაფიული გმირი, თხზულების მიმდინარეობისას მნიშვნელოვან სულიერ ცვლილებას განიცდის. იგი ებრძვის ფიზიკურ ძალას და სძლევს მას საკუთარი სულიერი ძლიერებით. დღითიდღე იცვლება, ემატება გამძლეობა და მოთმენის უნარი, რომ აიტანოს ქმრის მხრიდან როგორც ფიზიკური, ისე მორალურ-ფსიქოლოგიური ტანჯვა.

წმინდა შუშანიკს აქვს სიღრმე რწმენისა და ძალა სულისა, რომელიც კლავს შიშის გრძნობას, მას არ აშინებს სიკვდილი. პირიქით, იგი შვებაა მისთვის. მისთვის სიკვდილი არ არის უბედურება, გაქრობა, არამედ ხორციელებიდან სულიერებაში, მარადიულ სიცოცხლესა და თვისობრიობაში გადასვლაა.

საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სიკეთე, როგორც ყოვლისმომცველი პირველსაწყისი, ჰაგიოგრაფიულ აზროვნებაში ნათლის სახით არსებობს. შუშანიკი შედის მცირე სენაკში და ახშობს ერთადერთ სარკმელს და წარმოგვიდგება, როგორც „ნათელი ბნელსა შინა“. ეს ჩვეულებრივი სინათლე არ არის, არამედ სულიერი ნათელია.

და ყოველივე ამას, მის სულიერ ტრანსფორმაციას, მის სახეცვლილებას ყველაზე პირველი იაკობ ხუცესი, თხზულების ავტორი და წმინდა შუშანიკის სულიერი მოძღვარი ამჩნევს. მხოლოდ მას შესწევს ძალა, რომ გაუგოს დედოფალს და მისი ტკივილი გაიზიაროს. იაკობის მიერ წარმოსახული შუშანიკ დედოფლის სახე მკითხველის თვალწინ ყალიბდება სულიერად ძლიერ პიროვნებად და წმინდანად.

მარიამ მეარაყიშვილი

კუდიანთა დევნის ასახვა დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში

ქართულ მითოლოგიაში დასტურდება გადმოცემების მთელი ციკლი დემონურ არსებებსა და მასთთან დაახლოებულ პირებზე, რომლებსაც კუდიანებს უწოდებენ. ხალხური ტექსტების მიხედვით, კუდიანი არის ეშმაკ-დემონებისაგან გადაბირებული, ეშმაკად ქცეული ან ეშმაკეული ადამიანი, რომლის მიზანია, ზიანი მოუტანოს ადამიანებსა და მთელ სამყაროს. თქმულებები მოგვითხრობენ, თუ როგორ მოაქვთ მათ ათასგვარი უბედურება: ავადმყოფობა, მიწისძვრა, გვალვა, შიმშილი, ხანძარი და ა. შ.

ტრადიციულ საზოგადოებაში მიაჩნდათ, რომ უბედურების მიზეზთა აღმოსაფხვრელად საჭირო იყო კუდიანთა გაუვნებელყოფა. შესაბამისად, შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა სადამსჯელო ორგანო, რომელსაც ინკვიზიციას უწოდებდნენ. ქართულ ფოლკლორში არის რიგი ტექსტები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ქართულ ხალხურ ტრადიციაში უნდა არსებულიყო ევროპული ინკვიზიციის მსგავსი გაერთიანება, თუმცა მას, როგორც ჩანს, ოფიციალური კანონიკური სახე არასოდეს მიუღია.

კუდიანთა გამოვლენისა და გამოტეხის არაერთი სიუჟეტი შემოგვინახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზეპირსიტყვიერებამ. ეს სიუჟეტები ტიპოლოგიურად ენათესავება კუდიანთა შესახებ დასავლეთ ევროპაში გავრცელებულ სტერეოტიპულ თქმულებებს. კუდიანთა დევნის თემა აისახა ქართულ ლიტერატურაშიც, კერძოდ, დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში.

დ. კლდიაშვილის მოთხრობაში „მსხვერპლი“ მოთხრობილია ახლად გაკუდიანებული ქალის, მარინეს ცხოვრება. მეორე მხრივ, საინტერესოა თანასოფლელების, როგორც „ხალხური ინკვიზიციის“ წარმომადგენლების შეხედულებები და გადაწყვეტილებები „კუდიანი“ მარინეს შესახებ.

ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში „ცხოვრება სალომიკასი“ და „ტაბაკელა“ შთამბეჭდავად ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება უიღბლო, გაუბედურებული ადამიანის გაკუდიანება, რასაც, თავისთავად, საზოგადოების მხრიდან მათი დევნა მოსდევს.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ საქართველოში უნდა ყოფილიყო ხალხური ინკვიზიცია, რომელიც იყენებდა დასავლეთევროპული ინკვიზიციის ელემენტებს. ყოველივე ეს დასტურდება იმ ფოლკლორული თუ მითოსური გადმოცემებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, თვითმხილველთა ნაამბობია. აღსანიშნავია ისიც, რომ კლდიაშვილისა და ლორთქიფანიძის მოცემული ნაწარმოებები უნიკალურია იმით, რომ მათი ნარატივი აშკარად ხალხური წარმოშობისაა. ისინი მწერალთა ფანტაზიას არ ეკუთვნის. შესაბამისად, კუდიანთა შესახებ რწმენა-წარმოდგენები სიუჟეტურად აისახა ქართველ მწერალთა შემოქმედებაშიც.

კონსტანტინე მეგრელიშვილი

ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაცია რუსული იმპერიალიზმის და რუსეთის ერ-სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ფონზე

ქართველთა ნაციადყოფნისა და ნაციონალური კონსოლიდაციის საკითხი უკანასკნელი ათწლეულებია, რაც სამეცნიერო წრეების განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს და მის შესახებ დავა განსხვავებულ თეორიათა მიმდევრებს შორის დღემდე არ წყდება.

პრიმორდიალისტთა გაგებით, ქართული ნაცია წარმოადგენს უცვლელ მოცემულობას, რომელსაც 3000-წლოვანი ისტორია გააჩნია. ამის საპირისპიროდ, მოდერნისტები მიუთითებენ, რომ ნაციები კულტურულმა ელიტებმა შექმნეს მოდერნულ ეპოქაში.

წინამდებარე მოხსენება ამ საკითხს ეთნოსიმბოლისტური მიდგომით განიხილავს. ეს თეორია არ უარყოფს, რომ ნაციებს ეთნიკური ფესვები და, განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში, კოლექტიურ-კულტურული იდენტობის ხანგრძლივი ისტორია აქვთ, საკუთარი ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიით. მიუხედავად ამისა, ეთნოსიმბოლისტები ამტკიცებენ, რომ XIX საუკუნეში ხარისხობრივი ცვლილება მოხდა, როდესაც კულტურულმა ელიტებმა რეალურ

წარსულზე დაყრდნობით ნაციონალისტური ნარატივები შექმნეს და ბეჭდური მედიის საშუალებით ყველა სოციალურ ფენაში გაავრცელეს. ამით ნაციონალურმა ერთობამ სოციალური კოჰეზიის საჭირო დონეს მიაღწია, რითიც ის გარდაიქმნა მოდერნულ ნაციად.

ლიზა მურადაშვილი

სოციალისტური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ქალთა პოლიტიკური ჩართულობის პერსპექტივიდან (1919 წ.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მთავარ პროგრესულ მახასიათებელს წარმოადგენდა სქესთა თანაბარუფლებიანობის დაცვის მექანიზმების შემოღება, რომელიც, უპირველესად, პოლიტიკურ ასპარეზზე აღიარეს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც რესპუბლიკის მთავარ საკანონმდებლო ორგანოდ მიიჩნეოდა, მიიღო კანონი „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“. ეს დებულება უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქალებისთვის, ვინაიდან ამიერიდან მათ შეეძლოთ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია და მასში მონაწილეობა დეპუტატობის კანდიდატთა რანგშიც მიეღოთ.

მართალია, იმდროინდელ პოლიტიკურ სპექტრში ყველაზე დიდ ავტორიტეტს და ძალაუფლებას სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ფლობდა, თუმცა არჩევნებში უპირატესობის მოპოვების საფუძვლიანი პრეტენზიები სხვა სოციალისტურ პარტიებსაც გააჩნდათ, რომლებიც საარჩევნო კამპანიის აუცილებელ ნაწილად თავიანთი წინასაარჩევნო პლატფორმების გამოქვეყნებას მიიჩნევდნენ.

მოხსენებაში ჩვენ ვეხებით ქართული სოციალისტური პარტიების საარჩევნო პროგრამებს ქალთა პოლიტიკური ჩართულობის პე-

რსპექტივიდან. გამოკვლევა, ძირითადად, ეყრდნობა პრესის მასალებს, რადგანაც 1919 წლის იანვარ-თებერვალში გამოქვეყნებული საარჩევნო პროგრამები, სამომავლო გეგმები და საკანდიდატო სიები სწორედ პარტიათა მთავარ გაზეთში იბეჭდებოდა.

შევეცადეთ, გამოგვერკვია, თუ რა მიზანს ისახავდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და ეროვნულ-დემოკრატები, როდესაც თავიანთ საკანდიდატო სიებში ქალები შეიყვანეს.

პირველ რესპუბლიკაში ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი ღირებული ნაშრომის მიუხედავად, საკითხი ამ კუთხით ჯერჯერობით არ დამუშავებულა.

ლუკა ნებიერიძე

სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების (საერისთავოების), სამეფო დომენისა და ცალკეული ფეოდალების სამხედრო ძალა შუასაუკუნეების საქართველოში (XIV-XV სს)

ერისთავობის ინსტიტუტი შუასაუკუნეების საქართველოში კარგადაა შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია მიხეილ ბახტაძის სადოქტორო დისერტაცია (მიხეილ ბახტაძე, „ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2003). ამ და სხვა საინტერესო კვლევებით როგორც ირკვევა, ერისთავის იურისდიქციიდან ამოღებული იყო სამეფო დომენი, საეკლესიო მიწები და ცალკეული მსხვილი ფეოდალების მამულები (მაგ., გაგელი, თორელი და სხვა). შესაბამისად, შუასაუკუნეების საქართველოს სამხედრო ძალა პირობითად 5 ნაწილად შეგვიძლია დავყოთ: სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები (საერისთავოები), სამეფო დომენი, ცალკეული ფეოდალები, საეკლესიო მიწები და დაქირავებული სამხედრო კონტიგენტი („როქის სპა”, „მონასპა”). მოხსენებისას ყურადღებას პირველ სამზე გავამახვილებ, ხოლო კვლევის პერიოდი ჯერ კიდევ ერთიანი XIV-XV საუკუნეების საქართველო იქნება. ერთეული შემთხვევის გარდა,

აღნიშნული ინსტიტუტები ქართულ ისტორიოგრაფიაში სამხედრო თვალსაზრისით შესწავლილი არ ყოფილა. გამონაკლისს წარმოადგენს ლერი თავაძის სტატია (ლერი თავაძე, „არმია VIII საუკუნის საქართველოში", საისტორიო კრებული 8, გამომცემლობა „მხედარი", თბილისი, 2020, გვ. 113-257), თუმცა ამ შემთხვევაში მეცნიერს, როგორც მისი ნაშრომის სათაურიდან ჩანს, VIII საუკუნის საქართველოში არსებული საერისთავოებისა და სამეფო დომენის სამხედრო პოტენციალზე აქვს ყურადღება გამახვილებული.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის წყაროების სიმრავლით განებივრებულნი არ ვართ, ჩვენს ხელთ არსებული მასალები ზოგადი წარმოდგენის შექმნის საშუალებას მაინც იძლევა. მაგალითისთვის, ცნობილია, რომ 1445 წელს ქალაქ ბათუმთან გამართულ ბრძოლაში გურიელს ბურგუნდიის ფლოტილიის მეთაურის, ჟოფრუა დე ტუაზის წინააღმდეგ 600 მხედარი ჰყავდა გამოყვანილი. სამეფო დომენის სამხედრო ძალის თვალსაზრისით კი საინტერესოა „ხელმწიფის კარის გარიგების" ერთ-ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც სახასო მიწებზე 700 მესაწოლე შუბოსნის (მეფის პირადი დაცვა - ლ. ნ.) ოჯახი ცხოვრობდა. საერთო ჯამში, ვფიქრობ, საკითხი საინტერესოა და შეძლებისდაგვარად შევეხები ყველა იმ ცნობას, რომელიც მეტნაკლებად ინფორმაციას გვაძლევს ამ პერიოდის სამეფო დომენის, საერისთავოებისა და ცალკეული ფეოდალური სახლების სამხედრო ძალების რაოდენობის შესახებ.

ელენე სამაკაშვილი

ნაბატეველთა სახელმწიფოს ეთნიკური, სოციალური და ენობრივი საკითხები

ნაბატეველთა წარმოშობა საკმაოდ რთული საკითხია, რომლის შესახებ დისკუსიაც დღემდე გრძელდება. ეს ტერმინი, *ნაბატეველები*, მოიცავს სამხრეთ იორდანიაში დამკვიდრებულ სემიტურ ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ამ ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში გამოჩნდა, ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, უფრო ადრეც.

მეცნიერებაში დიდი ხნის წინ დაისვა შეკითხვა, ნაბატეველები არაბები იყვნენ თუ არამეელები. მართალია, ისინი სახელმწიფო ენად არამეულს იყენებდნენ, მაგრამ თვიანთი ტრადიციებით საკმაოდ განსხვავდებოდნენ არამეელთაგან. ორივე მხარესთან ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ. ნაბატეველთა წარმომავლობის დადგენაში ნაკლებად დაგვეხმარება მათი ენის გამოკვლევა, ვინაიდან არამეული დიდ როლს ასრულებდა ამ არეალში და მას ეთნიკურად არაარამეელები ხშირად მიმართავდნენ. იგი გამოიყენებოდა, როგორც მოსახლეობის სალაპარაკო ენა, მთელ სირია-მესოპოტამიაში და, როგორც *lingua franca,* მის საზღვრებსაც სცილდებოდა თვით ინდოეთამდე, განსაკუთრებით ალექსანდრე დიდის იმპერიის დაშლის შემდეგ, როდესაც ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოთა შორის კავშირი ისეთი ინტენსიური აღარ იყო, იმძლავრა ბერძნულმა და, შესაბამისად, დაიწყო არამეული ენის დაშლა დიალექტებად, სხვადასხვა არეალის მიხედვით. ნაბატეველთა მიერ არამეულის გამოყენება სახელმწიფო ენად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ეთნიკური არამეელები იყვნენ.

ჯ. ჰილის აზრით, უფრო მეტი მტკიცებულება გვაქვს იმისა, რომ ნაბატეველები არაბული წარმოშობისა იყვნენ. თვითონ ნაბატეველები საკუთარ თავს *ნაბატუს* უწოდებდნენ და გვხვდებიან ასევე *შაღამუს* სახელით. მათი ანთროპონიმები, პანთეონი და ცხოვრების წესი უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდის. როდესაც ნაბატეველები მომთაბარეობას ეწეოდნენ, არამეელები უკვე კარგა ხნის გადასულები იყვნენ მკვიდრ ცხოვრებაზე. ე. კნაუფი მიიჩნევს, რომ ნაბატეველებს მომთაბარეობა არასოდეს შეუწყვეტიათ, რასაც მ. მაკდონალდი არ იზიარებს. ი. რეთსო დამატებით სხვა არგუმენტებსაც იშველიებს იმის დასამტკიცებლად, რომ ნაბატეველთა სახელმწიფო დასახლებული იყო, როგორც არამეული, ისე არაბული წარმოშობის ხალხით და ტერმინი *ნაბატეველები* კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს არ მიემართებოდა.

წარმოდგენილ მოხსენებაში შევეცდებით, კრიტიკულად გავაანალიზოთ ნაბატეველებთან დაკავშირებით გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრება. ასევე შევეხებით ნაბატეური დამწერლობის როლს ჩრდილოარაბული ანბანის ჩამოყალიბებაში.

ნათია სურმანიძე

ფრანც ბოასი და ამერიკული ისტორიული სკოლა

ფრანც ბოასს ხშირად ამერიკული ანთროპოლოგიის მამასა და თანამედროვე ეთნოლოგიის არქიტექტორს უწოდებენ. ბოასი ვესტფალიაში დაიბადა, თავდაპირველი განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლობდა ჰაიდელბერგისა და ბონის უნივერსიტეტებში. ბოასი გერმანულ ექსპედიციას არქტიკაში 1883 წლის ივნისში შეუერთდა. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავდა ინუიტების (ესკიმოსთა) საზოგადოების შესწავლას იმის დასადგენად, თუ რამდენად იყო შესაძლებელი ხალხის ცხოვრებისა და გარემოს ურთიერთმიმართების განსაზღვრა ერთი კონკრეტული და არცთუ ისე მარტივი მაგალითის გამოკვლევით.

ბოასის კალამს ექვსი წიგნი და 700-ზე მეტი სტატია ეკუთვნის. მის ნაშრომთა დიდი ნაწილი არქტიკისა და ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს გამოკვლევას ეხება. ბოასისათვის ამოსავალი იყო თეზისი იმის შესახებ, რომ ყოველ კულტურას განვითარების საკუთარი, უნიკალური გზა აქვს. ევოლუციონისტთაგან განსხვავებით, რომლებიც ხაზს უსვამდნენ უნივერსალურ და მსგავს ნიშნებს სხვადასხვა კულტურაში, ბოასი მიუთითებდა თითოეული კულტურის თავისებურებებზე, როგორც საკუთრივ ამ კულტურის განვითარების შედეგზე. იგი საჭიროდ თვლიდა ყოველი ხალხის ენის, კულტურის, ანთროპოლოგიური ტიპის შესწავლას ისტორიულ ჭრილში.

ბოასი თვლიდა, ინდიელთა რომელიღაც ტომის კულტურა არანაკლებ რთულია, ვიდრე განვითარებული ევროპული ერის კულტურა. ერთ მათგანს დამწერლობა აქვს, მეორეს კი - არა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი კულტურათშორისი განსხვავებაა. რაც შეეხება ისტორიულ სკოლას, ისტორიული სკოლის იდეები XIX საუკუნეში გაჩნდა. ევოლუციონიზმისაგან განსხვავებით, ისტორიული სკოლის წარმომადგენლები უარყოფდნენ ისტორიული კანონზომიერების არსებობას და ამიტომ ისტორიული დარგების ამოცანად ფაქტების აღწერას მიიჩნევდნენ.

ისტორიული სკოლის ერთ-ერთი განშტოება იყო გერმანული ისტორიულ-საარქივო მიმართულება, რომელიც ამოცანად კულ-

ტურის ისტორიული განვითარების კვლევას მიიჩნევდა წერილობით წყაროებზე დაყრდნობით. აშშ-ში ისტორიული სკოლა თავიდანვე ორი მიმართულებით ჩამოყალიბდა. პირველი მიმართულება, კულტურული არეალების კონცეფციაა, ხოლო მეორე - საკუთრივ ისტორიული სკოლა ფ. ბოასის ხელმძღვანელობით. დასკვნის სახით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ფრანც ბოასმა დიდი წვლილი შეიტანა ანთროპოლოგიის განვითარებაში.

ნანიკო ტორონჯაძე, თამარ მეფარიშვილი, ანა ქურღულია

სინქრონიული მეტყველების ამსახველი მეგრული ტექსტების ფონოლოგიურ-გრამატიკულ-ლექსიკური დახასიათება

მეგრული არასალიტერატურო ქართველური ენაა და დაფუძნებულია ზეპირმეტყველებაზე. ცნობილია, რომ ზეპირმეტყველების ნიმუშები გვიან ჩაიწერეს; ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც მეგრული ყოფილა – ნარატიული წყაროები XIX საუკუნის მიწურულიდან გვაქვს, რომლებიც ასახავენ მეგრული ენის არეალური დაყოფის მონაცემებს. სინქრონიულ მეგრულ მეტყველებაზე დაკვირვება ფონოლოგიურ-გრამატიკულ-ლექსიკური თვალსაზრისით საინტერესოა იმიტომ, რომ არასალიტერატურო ენა განიცდის მონათესავე სალიტერატურო ენის გავლენას, განსაკუთრებით ლექსიკურ ნაწილში; გარდა ამისა, არეალური დაყოფა ემყარება სწორედ ფონეტიკურ-ფონოლოგიურ და გრამატიკულ პროცესებს, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება დაზუსტდეს. სინქრონიული მეტყველება ერთი არეალის ფარგლებში მთისა და ბარის მეტყველებას აზუსტებს; ამასთანავე, საყურადღებოა კოდიდან კოდზე გადართვის შემთხვევებიც; კერძოდ, სამეგრელოში დასტურდება ქართულ-მეგრული სამეტყველო კოდების შერევა.

მოხსენებაში ზემოაღნიშნული პრობლემური საკითხების მიხედვით განხილულია სინქრონიული მეტყველების ამსახველი მეგრული ტექსტები. საანალიზო მასალა მოპოვებულია საკუთრივ მა-

რტვილსა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მთისა და ბარის სოფლებში (აღმოსავლურ არეალი), ლინგვისტური ექსპედიციის ფარგლებში ველზე მუშაობის შედეგად (2017, 2023 წლები).

ლიკა ფრიდონაშვილი

ნიკო ფიროსმანის სურათი „ირემი პეიზაჟის ფონზე“ ქართული ხელოვნებისა და დასავლური მოდერნიზმის კონტექსტში

დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის (1862-1918) შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ცხოველთა გამოსახულებები. მათ შორის გამოირჩევა ირმების გამოსახულებათა სერია, რომელსაც მხატვარმა 20-მდე ტილო მიუძღვნა. ფიროსმანის მხატვრობაში ირმის ასეთი ინტენსივობით ასახვა შემთხვევითი არ არის, რადგან ირმის იკონოგრაფიას ხელოვნებაში უძველესი ტრადიცია აქვს. ეს ფაქტი აიხსნება ირმის სიმბოლური მნიშვნელობით, როგორც წინა ქრისტიანულ, ასევე ქრისტიანულ ეპოქებში. ირემი უძველესი დროიდანვე წმინდა ცხოველად ითვლებოდა და ასოცირდებოდა მისტიურთან, ღვთიურთან და მაგიურთან. სწორედ ამით აიხსნება ირმის გამოსახულებათა სიმრავლე ქართულ ხელოვნებაშიც. იგი გვხდება ძვ. წელთაღრიცხვის III-II საუკუნეების ბრინჯაოს ბალთებზე, შუა საუკუნეების ქართულ საფასადო რელიეფებს, ქვის სტელებსა თუ ფრესკულ მოხატულობებზე. ირმის გამოსახულებებს ასევე ხანგრძლივი ტრადიცია აქვს სხვადასხვა ეპოქასა და კულტურების ხელოვნებაშიც. მათ შორის, დასავლეთის მოდერნიზმში. მოხსენებაში განხილული იქნება ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტილო ირმების სერიიდან, 1913 წლით დათარიღებული „ირემი პეიზაჟის ფონზე“, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში. გაანალიზებული იქნება ფიროსმანის ტილოს კავშირი როგორც ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ძეგლებთან, ასევე მსოფლიო და განსაკუთრებით, მე-20 საუკუნის დასავლური ხელოვნების

ნიმუშებთან. ყურადღება გამახვილებული იქნება იმ სიმბოლურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, რომელთაც განაპირობეს, ერთი მხრივ, ფიროსმანის ტილოზე მოცემული ირმის გამოსახულებასა და, მეორე მხრივ, ზოგიერთ მოდერნისტ მხატვრის ტილოზე მოცემულ ირმის გამოსახულებას შორის ვიზუალური სახისმეტყველების კავშირი.

ნინი ჩარკვიანი

ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისში: ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედება მე-18 საუკუნეში

ინდუსტრიულმა რევოლუციამ ინგლისში, რომელიც ძირითადად მე-18 საუკუნის განმავლობაში განვითარდა, გამოიწვია კაცობრიობის ისტორიაში ღრმა ცვლილება, შეცვალა ეკონომიკური სტრუქტურები, საზოგადოების დინამიკა და ყოველდღიური ცხოვრების სტრუქტურა. თავის არსში ამ ტრანსფორმაციულ ეპოქას ახასიათებდა გადასვლა აგრარული და ხელოსნობით დაფუძნებული ეკონომიკებიდან ინდუსტრიულ სისტემებზე, რომლებიც იკვებება მექანიზაციით, მასობრივი წარმოებით და ტექნოლოგიური ინოვაციებით. ამ რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ძალა იყო მანქანების გამოგონება და დახვეწა. როგორც ორთქლის ძრავა, რომელმაც მოახდინა რევოლუცია წარმოების პროცესებში და ხელი შეუწყო ადრე შრომატევადი ამოცანების მექანიზაციას. ამ მექანიზაციამ, ტრანსპორტის წინსვლასთან ერთად, განსაკუთრებით რკინიგზისა და არხების განვითარებამ, ხელი შეუწყო საქონლისა და მასალების ეფექტურ გადაადგილებას უზარმაზარ დისტანციებზე, რაც კიდევ უფრო აჩქარებდა ინდუსტრიულ ზრდას. ეკონომიკურად ინდუსტრიულმა რევოლუციამ ინგლისი გლობალური ვაჭრობის წინა პლანზე აიყვანა და დააარსა იგი. ქარხნები წარმოიქმნა, როგორც წარმოების ცენტრები, რომლებიც იზიდავდნენ სოფლის მოსახლეობას, რომლებიც ეძებდნენ დასაქმების შესაძლებლობებს, რამაც გამოიწვია ადრე აგრარული საზოგადოებების სწრაფი ურბანიზაცია. სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ გამოიწვია ხალხმრავალი საცხოვრებელი ადგილების შექმნა, რომელიც, ძირითადად, ხასიათდებოდა ცუდი სანიტარული პირობებითა და სოციალური უთანასწორობით.

უფრო მეტიც, ინდუსტრიულმა რევოლუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სტრუქტურებსა და კლასების დინამიკაში. ქარხანაზე დაფუძნებული წარმოების გაჩენამ შექმნა მკაფიო განხეთქილება ბურჟუაზიას შორის, რომელიც ფლობდა წარმოების საშუალებებს და პროლეტარიატს შორის, რომლებიც შრომობდნენ ქარხნებში ხშირად და თან მძიმე პირობებში. ამ სოციალურ-ეკონომიკურმა სტრატიფიკაციამ გამოიწვია სოციალური არეულობა და გამოიწვია შრომითი მოძრაობების გაჩენა, რომლებიც მხარს უჭერდნენ სამუშაო პირობების, სამართლიანი ხელფასის და შრომითი უფლებების გაუმჯობესებას. მიუხედავად მისი უდავო ეკონომიკური აღმავლობისა, ინდუსტრიულმა რევოლუციამ ასევე გამოიწვია მრავალი გამოწვევა და ეთიკური დილემა, მათ შორის გარემოს დეგრადაცია, ბავშვთა შრომა და მუშების ექსპლუატაცია. მიუხედავად ამისა, მისი მუდმივი მემკვიდრეობა აგრძელებს თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებას, საფუძველს უყრის ტექნოლოგიურ ინოვაციებს, ეკონომიკურ გლობალიზაციას და თანამედროვე კაპიტალისტურ სისტემას. ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისში ადასტურებს ადამიანის გონიერებისა და ინოვაციების გარდაქმნის ძალას, რომელიც სამუდამოდ ცვლის ისტორიის მიმდინარეობას.

თამარ ჩიხრაძე

ქალი ავტორი თანამედროვე ლიტერატურული პერსპექტივიდან: მაია ენჯელოუ "ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი", თამთა მელაშვილი " შაშვი შაშვი მაყვალი"

ტერმინი "ქალთა ლიტერატურა" ქალების შესახებ და ქალებისთვის დაწერილ ლიტერატურულ ტექსტს აღნიშნავს. იგი თავისი დეფინიციით ახლოს დგას "ქალურ რომანთან", რომელიც თავის მხრივ, გულისხმობს ტრივიალურ ლიტერატურულ ტექსტებსა და საპნის ოპერებს. ქალებისთვის განტვირთვის საშუალებაა ისეთი მარტივი სიუჟეტური ხაზის ტექსტის კითხვა, სადაც მთავარი გმირი მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, გამარჯვებულია.

ქალთა ლიტერატურას ქალური რომანებისგან განასხვავებს ის ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც შემდგომ მათ ლიტერატურულ ნაშრომს ედება საფუძვლად და მასთან ერთად, ის საზოგადოებრივი სურათი, სადაც ქალს ჯერ კიდევ არ აქვს საზოგადოებაში საკუთარი თავი დამკვიდრებული. აღსანიშნავია, რომ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, მუდმივად უწევდათ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებისთვის ბრძოლა. 21-ე საუკუნეშიც კი ისმის გამოძახილი იმისა, რომ ქალი და განსაკუთრებით კი დედა, უნდა იყოს საოჯახო საქმიანობით დაკავებული. ევროპასა და ამერიკაში დღემდე მსჯელობენ ქალის უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, მის სოციალურ სტატუსზე. ცხადია, ქალისადმი ეს მიდგომა ზღუდავს მის უფლებებს, შესაძლებლობებს, უკარგავს მას არჩევანის თავისუფლებას.

ქალის როლს საზოგადოებაში, სტერეოტიპულ შეხედულებებს და კონფლიქტებს აღწერს და გადმოცემს ლიტერატურა. სწორედ ამის მაგალითია მაია ენჯელოუს "ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი" და თამთა მელაშვილის "შაშვი შაშვი მაყვალი". ამერიკელი ქალის პერსონაჟი და ქართველი მწერლის ეთერო, გარკვეულწილად, ერთმანეთს ეხმიანებიან. მათი სურვილი თავის დამკვიდრებისა და დამოუკიდებლობისა აღარ ემგვანება გალიაში გამოკეტილი ჩიტის ოცნებას, თავისუფლებისთვის.

მოხსენებაში ვისაუბრებთ მაია ენჯელოუსა და თამთა მელაშვილის დასახელებულ ნაწარმოებებზე ქალი ავტორის პერსპექტივიდან. ყურადღებას გავამახვილებთ ქალის, როგორც სოციალურ, კულტურულ, გენდერულ როლებზე ლიტერატურული ტექსტების მიხედვით.

გიორგი ქყოიძე

ისტორიული აზროვნების სათავეებთან

საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით, ისტორია, რომელიც სწავლობს კაცობრიობის წარსულს, ელადაში იღებს სათავეს, ხოლო ისტორიის მამად ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე გვევლინება. სინამდვილეში ისტორიულ აზროვნებას საფუძველი ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში ჩაეყარა. ეს მოხდა ორ

მდინარეს (ტიგროსი - IDIGINA და ევფრატი - BURANUNA) შორის მდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც შუამდინარეთს ვუწოდებთ.

„გილგამეშიანში“, ძველბაბილონურ ეპოსში, პირდაპირ შეიძლება დავინახოთ ისტორიული აზროვნება. ურუქის მეფე გილგამეშს (ძვ. წ. XXVII სს.) შუამდინარეთში მოაქვს ცოდნის იდეა, ცოდნა, რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადაეცემოდეს და ეს პრინციპი თვით გილგამეშმა დაამკვიდრა. „გილგამეშიანის“ პროლოგში ვკითხულობთ: „წარღვნის წინა ამბავი მოიტანა. წარვიდა შორს, შრომითა და ზრუნვითა და დასწერა დაფაზედ ერთობ განსაცდელი“. რა იგულისხმება ამ ფრაზაში? ურუქის მეფე პირდაპირ გვაძლევს ისტორიული აზროვნების მაგალითს. გილგამეში შუამდინარულ წარღვნის გმირს, უბარა-თუთუს ძეს, უტნაფიშთიმს ხვდება, მას წარღვნამდელი ამბავი მოაქვს ჩვენამდე და შემდეგ ამას წერს, ფაქტს აფიქსირებს თიხის ფირფიტაზე.

ისტორიული აზროვნების დანახვა შეიძლება გილგამეშზე გაცილებით ადრე, დამწერლობის შემქმნელ ენმერქართან. დამწერლობა შეიქმნა სიბრძნის დასაფიქსირებლად და ეს უკვე თავისთავად ისტორიული აზროვნებაა.

მოხსენების ძირითადი იდეაა, რომ მსმენელს დაანახოს შუამდინარელთა ისტორიული აზროვნება. მოცემულ საკითხზე მუშობისას ვეყრდნობოდი „გილგამეშიანის“ როგორც ასურულ, ისე ძველბაბილონურ ვერსიას, რომელიც ნათარგმნია მიხაკო წერეთლის მიერ და გამოცემულია კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში 1924 წელს.

ზურა ჯავახიშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის ჩასახვა და განვითარების ქრონიკები საქართველოში 1921 წლიდან 2011 წლამდე

ადგილობრივი თვითმმართველობა არის ადმინისტრირების ისეთი ფორმა და მექანიზმი, რომელიც დემოკრატიის შინაარსის რეალიზაციას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. კარგად ორგანიზებული

თვითმმართველობა ხალხის საჯარო მმართველობასთან მნიშვნელოვან დაახლოებას უზრუნველყოფს.

საქართველო თავისი ახალი და უახლესი ისტორიული წარსულით განეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელსაც დემოკრატიული, დეცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მეტად მცირე ხნის ისტორია აქვს და, აქედან გამომდინარე, არცთუ დიდი გამოცდილება, სადაც შეუძლებელი იყო ისეთ თემებზე და პრობლემებზე მსჯელობა, როგორიც მაგალითისთვის არის ადგილობრივი თვითმმართველობა, რადგან იგივე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ეფუძნებოდა ერთიანი, ცენტრალიზებული სოციალისტური საკუთრების სახელმწიფოებრივ პრინციპებს.

ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური საფუძვლების ჩაყრა პირველად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს დაიწყო და 1921 წლის კონსტიტუციაშიც განისაზღვრა. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის რედაქციაში, კერძოდ, კონსტიტუციის მე-10 თავის (ადგილობრივი თვითმმართველობა) მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობა არის, იმავდროულად, ორგანო ადგილობრივი მმართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში“.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ დეცენტრალიზაციის არცერთი ფორმა ჩვენს ქვეყანაში აღარ არსებობდა და ხელისუფლება გადაწყვეტილებებს ცენტრალიზებული ფორმით იღებდა, რაც გულისხმობდა პრინციპს „ზევიდან ქვევით“. ასეთი სისტემა არსებობდა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლამდე და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, კერძოდ 1991 წლის 9 აპრილამდე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში იწყება ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების დანერგვა და განვითარება, რის ნათელი დადასტურებაცაა: 2005 წლის 16 დეკემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ახალი ორგანული კანონის მიღება, რომელიც შეესაბამებოდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს.

მოხსენებაში ანალიტიკური მეთოდით გავიაზრებთ, რა იყო წარსულში, სად ვართ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების დონით დღეს და რა პერსპექტივები გვაქვს ამ კუთხით სწორად განვითარების შემთხვევაში სამომავლოდ.

უნივერსიტეტის
გამომცემლობა